„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

## „დროების“ ფასი ნოემბრის 1-დამ წლის დამლევამდე 2 მანათი.

### შინაური ქრონიკა

— გუშინ, ოქტომბრის 26-ს კუკიის ხიდზედ ერთი შესაწუხებელი ამბავი მოხდა. ვიღაცა უმაწვილი ქალი, რიგიანად ჩაცმული, ხიდზედ ფაეტონით მოვიდა, გააჩერებინა და გამოვიდა. შემდეგ ერთბაშად გაქანდა ხიდის მოაჯირისკენ. აქ ერთის წუთით შესდგა, მოიხადა შლიაპა და მტკვარში გადახტა. საცოდავს ვერავინ უშველა, თუმცა ხალხი საკმაოდ იყო. ქალის სახელი და მიზეზი მისგან თავის დახრჩობისა ჯერ არ გამოაშკარავებულა.

— ამას წინად ჩვენს გაზეთში იყო მოხსენებული, რომ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ უგზავნის ხარკოვის უნივერსიტეტის წიგნთ-საცავს ყოველ-გვარის ქართულის წიგნების თითო ეგზემპლიარსაო. ზოგიერთს ჩვენებურს გამომცემელს შეუტყვია ეს გარემოება და თავის მიერ გამოცემული ქართულის წიგნების თითო ეგზემპლიარი შეუწირავს ,,საზოგადოებისათვის“ ხარკოვის სტუდენტებისათვის გასაგზავნად. სხვათა-შორის ბ. დ. ბაქრაძემ გადასცა საზოგადოებას დღევანდლამდე უკვე დაბეჭდილი 15 თაბახი ვახუშტის ისტორიისა, რომელიც მის რედაქტორობით გამოდის, ბ. გრ. ჩარკვიანმა 15 წიგნამდე შესწირა ამ საგნისათვის.

,,საზოგადოება“ კარგს იზამდა, რომ მარტო ხარკოვის უნივერსიტეტით არ დაკმაყოფილებულიყო და გაეგზავნა სხვა უნივერსიტეტებშიც ყოველ-გვარი ქართული წიგნები, სულ 5—6 უნივერსიტეტია რუსეთში ისეთები, რომელთაც ეტანება ქართველი მოსწავლე ახალგაზდობა და ამ ხუთ უნივერსიტეტში ქართული ბიბლიოთეკის დაარსება, მართალია ბევრს ხარჯს მოითხოვს, მაგრამ დიდად და დიდად საჭიროა და სასარგებლო. თითო უნივერსიტეტზე ათ-ათი თუმანი რომ გადიდოს, სულ ორმოცდა-ათი თუმანი საკმარისი იქნება, რომ სამუდამოდ დაწესდეს ბიბლიოთეკები უნივერსიტეტებთან ჩვენის სამშობლოს და მის ლიტერატურას მოშორებულის მოზარდი თაობისათვის.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ,,საზოგადოებას“ ამ საქმეს თვით ავტორნი ქართულის წიგნებისა და გამომცემელნი გაუადვილებენ თავიანთ თხზულებათა და გამოცემათა შეწირვით.

ერთხელვე რომ წესად მივიღოთ და ახალის წიგნის დაბეჭდვის დროს სულ ხუთი-ექვსი ეგზემპლიარი ამ საგნისათვის ,,წ. კ. საზოგადოებას“ გადავცეთ ხოლმე, ეს საქმე ადვილად მოხერხდებოდა და დიდს სარგებლობას მოუტანდა ჩვენს მომავალს იმედს - სტუდენტობას.

— ჩვენ მივიღეთ ბ. კ. ხუციშვილისაგან შემდეგი წერილი: ,,ყოველმა გონიერმა კაცმა იცის, რომ ხუთ გრძნობაში მხედველობაზე უკეთესი არა არის რა. მე კი მოკლებული ვიყავი ამ გრძნობას, და ვერც ვაფასებდი მას დღემდისინ. ეხლა კი, სპარსელი ექიმბაშის მირზა-აბაზ-ბეგ-ხაი-ჭუსეინის შემწეობით მომეცა თვალში ჩინი და დღემდისინ ბრმა ნათლად ვსჭვრეტ ყველაფერსა—მე სად შემიძლიან მაგიერი პატივი ვსცე ამ ყოვლად სამადლობელს მკურნალს! ღმერთსა ვსთხოვ ამისს სიცოცხლეს იმ პირთათვის, რომელნიც მოკლებულნი არიან თვალის ჩინსა.“

— ამ გვარი შესანიშნავი თვალის ექიმი ერთი იმერეთშიაც არისო, როგორც გვიგონიეთ. რამდენიმე წლის წინად იმერეთში ჩასულა ერთი ოსმალელი, დახელოვნებული თვალის ექიმობაში. ორი თუ სამი წელი დაუყვია იქ, ბევრის უსინათლოსათვის თვალები აუხელია და შემდეგ, როდესაც შინ მიემგზავრებოდაო, შესჩვენია ერთი ვაკელი გლეხი, რომლის სახელი და გვარი არ ვიცით ჩვენ, სამწუხაროდ. მიუცია კარგა-მალი სასყიდელი და შეუსწავლია მასი ხელობა. დღეს ეგ გლეხიც ისეთივე წარმატებით ექიმობსო, როგორც მისი ოსტატი.

რამდენი სხვა-და-სხვა სენთა უებარი წამლობაც არის ჩვენს ქვეყანაში, რომ საექიმო მეცნიერებას ვერ გამოუკვლევია ჯერ. ჩვენს ქვეყანაშიაც ხშირია და მთელს შვეიცარიაში ხომ თითქმის მოდებულია ერთ გვარი ავადმყოფობა, რომელსაც ყიყვს (თიადორას) რუსულად ЗОБЪ-ს ეძახიან. კაცს თუ ქალს საოცრად და სამახინჯოდ ჩამოუსივდება ხოლმე კისერი იქამდის, რომ ხშირად კიდეც წაახრჩობს. აი, ამ გვარს სენსაც ჰშველის თურმე იმერეთში ერთი დედაკაცი.

— იმავე ახუნდს მირზა აბას-ბეგ ჭაჯი-უსეინ ოღლის დიდს მადლობას უძღვნის კასიანე მემარიაშვილი, მისთვის რომ მხოლოდ ამ ექიმმა იტვირთა მისი თვალის მორჩენა და კიდევაც მოარჩინა, მაშინ, როდესაც სხვა დოქტორებთან ცდამ უქმად თურმე ჩაუარა.

— ვერათვერა ღვინის მოსავალი ყოფილა წელს წინა-მხარში (სიღნაღის მაზრა). გამუდმებულმა სიცხეებმა უწყალოდ შეაჭკნო ყურძენი ვაზზე და ეს იყო მიზეზი, რომ გამოსავალი ძლიერ ცოტა ჰქონდა წელსა, თუმც სხმით შარშანდელზე მალიან ესხა ვენახებსაო.

— ახირებული სიავეს რომ იტყვიან, სწორედ ისეთი სიავეა ეხლა თურმე უგელაფრისა ქ. სიღნაღში. ფული გაწყდა და

---

«დროების» ფელეტონი, ოქტ. 27-ს

## ხევის ბერი

### გოჩა.

(მოთხრობა *)

### XXIV

გოჩას გამოსვლაზედ ხევის ჯარი წყნარად შეიძრა, გაიყო სამ რაზმად და ბელადების წინამძღოლობით მტრისაკენ გაემართა. იმათ გადაწყვეტილი ჰქონდათ ნუგზარისგან დაჭერილს სიმაგრეს სამ მხრივ დასცემოდნენ და საერთო იერიშის მიტანით მტრისათვის გადაეხადათ. ყველასთვის აშკარა იყო, რომ ამ ბრძოლას უნდა გადეწყვიტა ხევის მომავალი მდგომარეობა და ბედ-იღბალი.

ყველა მიდიოდა პირზედ ღიმილით, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ წმინდა მოვალეობას ასრულებდა და, თუ სიკვდილი შეემთხვეოდა, მისი სახელი ხალხში დიდხანს მოიხსენებოდა და შორს მთებში გაითქმებოდა. სააქაოს მოელოდა სანეტარო ხსენება და საიქიოს—ზეციერი ჯილდო. მაშასადამე, ამ გვარი რწმუნების ხალხისთვის ბრძოლა თვით-მყოფელობისთვის თავის მიწა-წყლის დასაცავად მეჯლისში წასვლას ემგზავსებოდა. ბრძოლისა და მტერთან შეტაკების სურვილს უმეტესად უცხოველებდა მოძმეთ წამების მოგონებანი, რომელიც გულს ძალზედ უმღვრევდა და სისხლისთვის სისხლს მოაწყურებდა.

მიმავალ მოხევეთა შორის ონისეც იყო, რომელსაც მხიარული, მუდამ მოღიმარი სახე ჭმუნვარებით შესცვლოდა, და ძალზედ მოკუმულს ტუჩების გამო სახის კანიც გასჭიმოდა. თვალებ ალგზნებულს, ლაწვები თითქოს გამობურცვოდა და სიბრაზის ნიშნად ლოყების ძარღვები ძალზედ უცემდა.

ონისეს, ბუნებითვე ვაჟკაცს და თავ-განწირულს, დღეს მეტი მიზეზი ჰქონდა ერთი-ორად გადაქცეულიყო, რადგანაც თავის შეცდომას და თავდავიწყებას ჰგრძნობდა და უნდოდა მეტის თავ-განწირვით ცოდვა რამდენადმე შეემსუბუქებინა.

იმასა ჰყვანდა ჩაბარებული რამდენიმე კაცი, რომელიც მოხევეთა ერთის გუნდის მოწინავე ჯარს შეადგენდა და მინდობილი ჰქონდა, რომ ყოველი ღონისძიება ეხმარა მტრისგან სადარაჯოდ გამოყენებულს კაცებს შეუმჩნევლად მიჰპარებოდა და ან შეეპყრო, ან დაეხოცა. ამასთანავე ეს ისე უნდა მომხდარიყო, რომ მტრის უმთავრესს გუნდს ვერ შეეტყო, რათა მათ მოხევეების დასახვედრად მომზადება ვერ მოესწროთ.

ონისე მიუძღვებოდა თავის პატარა რაზმს და ყოველგვარად ფთხილობდა, ბრძანება «გადაუბრუნებლად» აღესრულებინა. ყველაზედ წინ მიდიოდა სმენად გადაქცეული ონისე და შემდეგ მწკრივად მისდევდნენ დანარჩენები, რომელნიც სიფთხილით აბიჯებდნენ და ფეხს თითქმის იმავე ადგილას ადგამდნენ, რომელზედაც წუთის წინედ მათი ბელადის ფეხი მდგარიყო.

რიყიან ადგილზედ მეტად დიდი გაფთხილება და ფეხის სიმარჯვე უნდოდა, რომ ქვების შენძრევით ღამის მყუდროება არ დაერღვიათ და მით თავიანთ მოძრაობაზედ მტრის ყურადღება არ მიექციათ. ბანდულებ ჩაცმული მოხევენი მიიპარებოდნენ და, სანამ დედა-მიწაზედ მაგრად დააბიჯებდნენ, რამდენსამე ხანს ადგილის სიმკვიდრეს ფეხითა სცდიდნენ. ერთბაშად ონისე შესდგა და იმ ადგილზედვე ჩაწვა. სხვებიც ხმის ამოუღებლივ ამ გვარადვე მოიქცნენ და მიწას გაკრულებმა ხანჯლები ამოიღეს.

გაიარა რამდენმამე წუთმა ამ სიჩუმეში და მოპირდაპირე მხრიდგან ხუთი კაცი გამოჩნდა, რომელნიც ამ ამ გვარადვე სიფთხილით და გაჩუმებულნი მოდიოდნენ. ონისემ დააცადა, სანამ უკანასკნელი გაუსწორდებოდა და, რა მოუახლოვდა, სწრაფად ფეხზედ წამოიჭრა. მასთან ერთად წამოცვივდნენ დანარჩენებიც და წუთს შემდეგ ადგილის დასათვარიელებლად გამოგზავნილი ოსები მიწაზედ ფართხალობდნენ. და რამდენადაც სისხლი აკლდებოდათ, იმდენად სიკვდილს მეტის გამწარებით ებრძოდნენ.

ყველა ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ოსებმა დაყვირებაც კი ვერ მოასწრეს. რაკი მოხევეებმა ამათგან მოიცალეს, ისევ თავიანთ გზას გაუდგნენ და ალიონის აწევასთან ერთად მტრის ბანაკს მიუახლოვდნენ. იქ ჩასაფრდნენ და ამხანაგებს ლოდინი დაუწყეს. მტრის ბანაკში სრული მყუდროება სუფევდა,

*) იხილე «დროება» № 227.

ამ უფულობამ გამოიწვია ეს საარაკო სიაფე. გირვანქა მროხის ხორცი სიღნაღშიაც და სოფლებშიაც 5 კაპ. ცხვრისა და თხისა 4 კაპ., ინდაური კარგი 50 კაპ. ქათამი 15 კაპ., მეტად არ იყიდება. წვრილი ვარია ხომ 8 და 10 კაპ. ამის დაგვარად ზური და ყველა დანარჩენი ხორაგეული იაფად იყიდებათ.

— ოდესელი კორესპონდენტი სწერს ,,ნოვოე ვრემია''-ში ოდესის სამეურნეო გამოფენაზე: ,,რაც რუსეთში ღვინოა, სულ სამხრეთიდამ მოდის. კავკასიას და ამიერ—კავკასიას ცამეტი მილიონი ვედრა მოჰყავს, ბესარაბიის გუბერნიას სამ მილიონამდე, ტავრიდისას $1^1/_2$-მდე.

,,კავკასიიდამ ორი ექსპონენტი იყო: თ. ბაგრატიონ-მუხრანსკი და თ. ჯორჯაძე პირველად ექსპონენტები შესთავაზებდნენ ხალხს თავიანთ ღვინოების ჭაშნიკებს, მაგრამ მერმე საპქციოზო უწყებამ აღუკრძალა, რადგან ეგ არ შეიძლება უპატენტოთაო.''

ამიერ კავკასიის ფილოქსერის დასს ამ თვის 14—20 შემდეგი ვენახები გაუსინჯავს თელავის და სიღნაღის მაზრებში: სოფ. გაწნაძიანში 1, თელავში—8, კურდღელაურში—3, ქისტაურში 2, კიზის ხევში—1, და ბაკურ-ციხეში—ერთი. ფილოქსერა ამ ვენახებში არსად არ აღმოუჩენია დასს, სიცივების გამო დაბრუნებულა თბილისში და სასტუმრო ლონდონთან, რომ ბაღია ამ ბაღის ვაზებს სთხრიან და სწვავენ.

ამავე დასის ერთის ნაწილს გაუსინჯავს გორის მაზრაში შემდეგი ბაღები: სოფ. ხიდის-თავში—7, ატენში—1, კასპში—2, ახალ-ქალაქში—6, კავთის ხევში—3 და ქ. გორში—2. ფილოქსერა არც აქ აღმოჩენილათ.

— ,,ნორ-დარში'' სწერია, რომ ამ მოკლეს ხანში ეჩმიაძინის სინოდი დაგზავნის ცირკულიარებს, რომლითაც აუწყებს, რომ სრულიად სომხთა კათოლიკოზის არჩევა მოხდება აპრილის 19-ს 1885 წ.

### ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ.

ბ. კ. ყიფიანის ბენეფისი. კაცისმკვლელი, დრამა ჯიაკომეტისა.

ეს დრამა არის ერთი იმ გვარი თხზულებათაგანი, რომელიც განსაკუთრებით არტისტების სადებიუტოდ (გამოსაცდელად) იწერება და ამის გამო ავტორისაგან უმთავრესი ყურადღება ექცევა მხოლოდ ერთს პირს და მისთვის ჩართულს საეფექტო სცენებს ბევრჯელ პიესის ლოგიკური მიმდინარეობაც-კი ემსხვერპლება ხოლმე. ეს პიესაც ქორადოსთვის არის დაწერილი.

ქორადოს, (ბ. ყიფიანი); ხელობით მხატვარს, შეუყვარდება როზალია (კნ. ავალოვისა), რომელზედაც ჯვარს დაიწერს ქალის დედ-მამის წინაალმდეგ. ამ ქალის ძმა ცდილობს დაარღვიოს ქორადოს ბედნიერება, ქმარს წაართოს ცოლი და სახლსავე დაუბრუნოს. ქორადო, როგორც ფიცხი კაცი, მოჰკლავს თავის ცოლის ძმას და ამისთვის ნეაპოლიტანის ციხეში სამუდამოდ დატუსაღებულია. როზალია თავის ქალი „ადათი" (ბ. ქორინთლისა) უპატრონოდ დარჩენილები, არამც თუ ყოველგვარს მატერიალურს ნაკლულოვანებას იტანენ, არამედ მათ ყოველ ნაბიჯზედ სდევნიან, დასცინიან, როგორც დამნაშავის სახლობას და სიცოცხლეს უმწარებენ. როზალიას და იმის ქალს, მხოლოდ ერთი გზაღა რჩებათ—გზა გარყვნილებისა და ზნეობითი დაცემისა. მაგრამ ავტორს ჰსურს, რომ როზალია სიმპატიურ პირად დარჩეს და ამისთვის აღმოჩნდება, როზალიაზედ დაადაზედ არა ნაკლებ სიმპატიური პირი, ქვრივი ექიმი პალმიერი (ბ. ნებიერიძე), რომელსაც ადას ხნის ქალი ჰყოლია და მოჰკლომია. სიმპატიური ექიმი, გაიცნობს როზალიას და გადასწყვეტს ადა თავის ქალად მიიღოს, დაარქვას გადაცვალებულის „ემას" სახელი და ქვეყნის საყვედურისაგან დაიხსნას. დამნაშავის შვილი ნამდვილი ადა, „ემად" სახელ-წოდებული, ბავშვია, არა ესმისრა და ყველაფერს იჯერებს, რწმუნდება რომ ის პალმიერის ქალი ემა არის. დედა ე. ი. როზალია, რომელიც მეტს ბარგათა რჩება, რადგანაც ემას ბედნიერება ითხოვს, რომ ნამდვილი დედა დედათ არ მიაჩნდეთ, პალმიერთან თავის ნაშობის მასწავლებლის სახელს იქმევს. საქმე გაჩარხულია და მკითხველსა ჰგონია, რომ დრამაც დასრულდა, მაგრამ, უკაცრავად, დრამა მხოლოდ ეხლა იწყობა, რადგანაც ყველა ზევით თქმული მოქმედებად კი არ არის გამოყვანილი, არამედ მომქმედნი პირნი ამბად მოგვითხრობენ.

მაილის თოთხმეტი წლიწადი ამ ყოფაში. სწორედ იმ დროს, როდესაც როზალიას, ხნიერებისა და წარსული მწუხარების გამო, ქალობრივი მიმზიდველობა ეკარგება, იგი შეიქნება იეზუიტის მონსენიორის (ბ. აწყურელის) დარღების ამშლელი, მაგრამ რადგანაც ეს უკანასკნელი ვერაფერს აზერხებს ცდილობს როზალია შეავიწროოს, ხალხის თვალში დაამციროს და განდევნოს. ამ აზრის შესასრულებლად მონსენიორი ჯაშუშად იხდის «აგატას» (მძინაროვისას), რომელიც პალმიერის სახლში მოსამსახურედ არის და როზალიას ცხოვრებას დაწვრილებითა ტყუებულობს.

სიმპატიური ექიმი ყველა ამას ითმენს და შემდეგისათვისაც თავისი სახლის კარები ვერ დაუხშვია მონსენიორისათვის. მონსენიორმა აღარ იცის, პალმიერს რითი გადაუხადოს, რადგანაც როზალიას გამო ისიც შესძულდა, თუმცა იეზუიტს დიდი დამოკიდებულება და ძალა აქვს და იმაზედაც-კი ფიქრობს, რომ ქორადო საპყრობილიდგან დააბრუნოს და როზალია მას ძალად შეუერთოს.

იეზუიტის ბედი გასჭრის და თავისი სურვილი აუსრულდება. ქორადო გასტეხს საპყრობილეს, გამოიქცევა, სწორედ იმ მონსენიორთან მოვა, რომელსაც ქორადოს ხელში ჩაგდება ჰსურს.

მეორე დღეს ქორადო მიდის თავის ცოლთან. მათი შეყრა შესაძრწუნებელია, რადგანაც როზალია აყვედრის თავის ძმის სიკვდილს და „ქორადო"-კი ინთება ეთნის მსგავსად სიყვარულის ცეცხლით, რომელიც თოთხმეტის წლის განმავალობაში არ ჩამქრალა და რომელსაც ვერც დაუწვამს რაღაცა უცნაურის მეტალისგან შემდგარი კაცი. ქორადო ცოლს გამოკითხვას მოუყვება, ითხოვს გააგებინოს მისი ადას ამბავი და კარგა ბრძოლის შემდეგ, როზალია მოლბება, აღიგზნება ისევ უწინდელის გრძნობით და ქმარს ყველაფერს ატყობინებს. მხოლოდ ადას ბედნიერებისათვის ქმარი და ცოლი სთანხმდებიან არ შეატყობინონ მას ნამდვილი გარემოება, ხოლო თვითონ კი გადასწყვეტენ მოშორდენ ქალსაც და ექიმის სახლსაც.

აქ «ქორადო» აღიგზნება პატიოსანის გრძნობით, რადგანაც დაინახავს

---

რადგანაც ერთის მხრით გაზვიადებულნი პირველის გამარჯვებით, და მეორეს მხრით დარწმუნებულნი თავიანთ დარაჯების სიფრთხილეში თავისუფალს, დამშვიდებულს განსვენებას მისცემოდენ. ნუგზარ დარწმუნებული იყო, რომ მოხევენი შეშინდებოდენ და მეორე, მესამე დღეს შუა კაცებს გამოუგზავნიდენ. ის თავის დღეში ვერ წარმოიდგენდა, რომ ხევის ერთი მუჭა ხალხი მასთან შებრძოლებას გაბედავდა, მით უფრო, რომ მას ახლდა საკმაო რიცხვი ლეკთა გარაზმული და კარგად შეიარაღებული ჯარი.

მოხევეთა ხამივე მხრიდგან წამოუარეს, და შეუმჩნევლად მტერს გარს შემოერტყნენ.

მავარდა ერთბაშად თოფი და ეს ნიშანი იყო საერთო იერიშისა.

წამოცვივდა ნუგზარის ჯარი, მაგრამ მოულოდნელობის გამო მთლად აირია და გონება დაკარგული მებრძოლნი უაზროდ დარბოდენ. შესეული მოხევენი დროს არ აძლევდენ, რომ გონს მოსულიყვნენ და უწყალოდა ხოცდენ. ამ საერთო არეულობაში, მხოლოდ ერთს ადგილას მოჩანდა თეთრი ცხენი და მაზედ ამხედრებული ნუგზარ, რომელსაც ხელში ხმალი ეჭირა და მარჯვენივ თუ მარცხნივ სჩეხამდა. მას გვერდს მოსდგომოდა რამდენიმე გამოჩენილი ლეკთა-ვაჟკაცი და ღირსეულს მხარს უმშვენებდენ; აშკარად სჩანდა, რომ მათს გულში ვაჟკაცობის ცეცხლი უმეტესად ინთებოდა, ვიდრე იმ ორგულებისაში, რომელთაც შებმას გაქცევა ერჩიათ.

ამ საერთო არეულობაში, ონისე დამთვრალსავით დადიოდა და ვისაცკი შეეყრებოდა მზისთვის დიდ-ხანს აღარ აცქერინებდა. ის ეძებდა გაცხარებულს ბრძოლას და სადაც იგი გაჩნდებოდა, სწრაფად შუა-გულში მოექცეოდა. თუმცა სიკვდილის მძებნელი მოჯადოებულსავით ყველგან უვნებლად რჩებოდა.

მისი სიმამაცე, გულადობა და თავგანწირულება მაყურებელთ აოცებდა და ქებას წარმოათქმევინებდა.

ერთბაშად გორაზედ გამოჩნდა მოჩა, რომელსაც თეთრი თმა გაშლოდა და ნიავი უმღელვარებდა. დროშის თავი, რომელიც ხელში ეჭირა, სანუგეშოდ ფრიალებდა და წვერზედ გაკეთებულს ოქროს ჯვარს კრიალი გაჰქონდა.

მოჩას ცხენი ამაყად და მედიდურად მიაბიჯებდა, თითქოს ჰგრძნობდა, რომ მისი მხედარი ხალხისაგან იყო არჩეული და მას არც ერთხელ თავის ამრჩევთაგან საყვედური არ მიეღო.

მოხუცმა შეუტია ცხენსა და გააქროლა იმ მხარისკენ, სადაც ნუგზარ რამდენიმე კაცით ჯერ კიდევ იბრძოდა.

— აბა, ბიჭებო!.. მომყევით, ვისაც გული გერჯისთ! დაიძახა მოჩამ და ხალხი სწრაფად შეჯგუფდა, ბურთსავით შეიკრა ნუგზარის გარშემო.

ავარდა კორიანტელი; ყველა მტვრით დაიფარა, მზის შუქიც-კი თითქოს მიბნელდა. აქამდისინ მოყიჟანე, ეხლა გაჩუმებულიყვნენ და მყუდროებას მხოლოდ კბილების ღრჭიალი, იშვიათი დაკვნესება და იარაღის ჩახა-ჩუხის ხმა დაარღვევდა.

ხან-და-ხან ნიავისაგან გაფანტულს მტვერში, მოჩას დროშა გამოჩნდებოდა, რომელიც ისევ უვნებლად ფრიალებდა და მებრძოლთა გულებს ფოლადად უწრთობდა. ერთბაშად შეკუმშული ხალხი როგორღაც წამოტრიალდა, გაიშალა და ასტყდა ისევ ყიჟინა.

ქარმა გაჰფანტა ბრძოლის მტვერი და წუთს წინედ სიცოცხლით სავსე მებრძოლთაგან კოშკად აშენებული დახოცილები-ღა გამოჩნდა! მათ შორის იდგა მოჩა, დალონებული, გაფითრებული და სევდიანი თვალები ზეცისკენ მიეპყრო! შორს, გზაზედ მტვერი მოჩანდა და იმის შუა ხანდისხან გამოჩნდებოდა ხოლმე ნუგზარ და რამდენიმე ცხენოსანი, რომელნიც სიკვდილს რაღაცა მანქანებით გადარჩენოდენ.

## XXV

ხალხი დაწყნარდა, დაასაფლავა თავიანთი დახოცილები, მაგრამ, ჯერ არ იშლებოდა, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ნუგზარ ასე მალე ვეღარ მოუბრუნდებოდა და საკმაოდ დაფთხობილს ოსებს ისე ადვილად ვეღარ დაიყოლიებდა მოხევეებზედ გასალაშქრებლად.

ამ გორაკის ერთს ადგილას რგვლად შემოწყობილს ქვებზედ მოგროვილიყვნენ თემისა და ჯარის თავები. იქვე მისულიყვნენ დეკანოზები სასოფლო დროშებით და ხევის ბერს მოჩას გარს შემოხვეოდენ. ეს წრე მხოლოდ ერთის მხრით იყო გახსნილი და იქ დანარჩენი ხალხი მოგროვებულიყო. უქვლას პირისახეზედ რაღაცა მჭმუნ-

რომ მისი ცოლის გაბედნიერება მხოლოდ პალმიერს შეუძლიან და გადასწყვეტავს, მათ ბედნიერებას წინ არ გადაეღობოს.

მონსენიორი გაიგებს, რომ ყველაფერი მშვიდობიანად თავდება და ამისათვის აბეზღებს ქორადოს. ქორადო თავს იწამლავს და სცენაზედ კვდება.

ასე თავდება ეს უცნაური დრამა, სადაც მხოლოდ ერთი ქორადოს როლი არის შესამჩნევი, თუმცა ეს როლიც თითქმის ეფექტებზედ არის აშენებული. რა კითხვა უნდა, მობენეფისე, რომელიც ისეც ყოველთვის თავს იჩენს ხოლმე ჩვენს არტისტებში, ამ წარმოდგენაზედ უფრო ამაღლებული იყო და მედიდურად გადმოსცქეროდა გარეშემო მოფუსფუსე არტისტებს. საწამლავით მომაკვდავის სულთმობრძაობა, კლაკნვა და კონვულსიები წარმოდგენილი იყო მისგან ხელოვნურად და ზედ-მიწევნილი სინამდვილით.

ეს არტისტი არა ერთხელა ყოფილა ქებული და მართლადაც ღირსეულად, მაგრამ სამწუხაროდ წარსულ ბენეფისზედ საზოგადოება ბლომად არ დაესწრო. ეს მით უფრო საკვირველია, რომ ვიდრე ბ. ყიფიანი ჩამოვიდოდა, თითქმის ყველა სერთუკსა და მუნდირში მყოფი მხოლოდ იმას გაიძახოდა: — განა ღირს ქართულ თეატრში სიარული, როდესაც ქ. ყიფიანის ხილვით არ დავსტკბებით?! და მართლადაც არ დადიოდენ.

სასიამოვნო იყო შეგვეტყო, ეხლა რალა მიზეზმა დააბრკოლა ჩვენი ესრედ-წოდებული მაღალი საზოგადოება, რომ ამ პიესაზედ არ დაესწრო, როდესაც არა თუ მათი საყვარელი არტისტი ბ. ყიფიანი თამაშობდა, არამედ მისი ბენეფისიც კი იყო?

მაგრამ ვისაც ყოველისფერი თავისი დაუკარგავს, გული, ჭკუა, ვისაც ყურთასმენა შესცვლია, ქართული თეატრი მათთვის მკვდარია და თითონ ისინიც არამც თუ ქართულის თეატრისთვის, არამედ ყოველი ქართული საქმისთვის მკვდრები არიან.

ზაქცილა თეატრიკა.

## „დროების“ კორესპონდენცია

—

**ქუთაისი**, ოკტომბერი. —,,დროებამ‘‘ დიდი ხანი არ არის, ერთს თავის მოწინავე წერილში, განმარტა ბიბლიოთეკის ხასიათი და მნიშვნელობა. ვინ არ იცის, რა სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისათვის ბიბლიოტეკას და რა დახმარებას უწევს იგი მოსწავლე ახალ-გაზრდობას. ეს ჭეშმარიტება ყველგან ცნობილია და ამისათვის ყველა განათლებული ქვეყანა, რაც-კი შეიძლება, ავრცელებს ბიბლიოტეკებს ქვეყნის წრმატებისათვის. გადახედეთ ამერიკას და იქ სოფელშიაც შეხვდებით წიგნთა-საკითხავებს. დაწინაურებულ ქვეყნებში არა მხოლოდ უსასყიდლო სწავლაა მიღებული პრინციპად, ბიბლიოტეკებიც გამართულია უსასყიდლოდ, საცა ხელ-მოკლე სწავლის მოყვარეს შეუძლია დააკმაყოფილოს სწავლის სურვილი. რასაკვირველია, ჩვენი ქვეყანა ჯერ, უსასყიდლო წიგნთა-საკითხავებს ვერ გამართავს ისეთი ბიბლიოტეკის გამართვაც, სადაც სასყიდელის გადახდით მაინც შეიძლებოდეს წიგნის მოვნა და კითხვის ხალისის დაკმაყოფილება ჩვენში სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ამისათვის სიამოვნებით მივეგებებით მეორე ბიბლიოთეკას, რომელიც გაიმართა ქუთაისში ამ თვის ხუთს.

ეს ბიბლიოთეკა გახლამთ ბ. ან. ლორთქიფანიძისა. ბ. ა. ლორთქიფანიძემ ამ თორმეტი წლის წინად გამართა ქუთაისში ბიბლიოთეკა. შემდეგ მისი წიგნთა-საკითხავი გადადიოდა სხვა-და-სხვა ხელში და საქმეც იხლართებოდა. შარშან შეუერთდა ბ. პეტროვის ბიბლიოთეკას და წრეულსკი ისევ დამოუკიდებლად დაიწყო არსებობა. ბიბლიოთეკა მოთავსებულია მშვენიერ სახლში და ძრიელ მოხერხებულ ადგილს. აქ კაბინეტიც არის გამართული გაზეთების საკითხავად. მით უფრო სასიამოვნოა ამ მეორე ბიბლიოთეკის გახსნა, რომ ეს გამოიწვევს კანკურენციას, რომელიც საჭიროა ყოველივე საქმის წარმატებისათვის. ჩვენ ჩვენის მხრით ვისურვებთ ყოველსავე კარგს ბ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკისათვის და ვიმედოვნებთ, რომ საქმეს აწარმოებს დროების მოთხოვნილების დაგვარ.

—

ქართული ანდაზაა: ტყუილის მთქმელს რა სარგებლობა აქვსო და — მართალსაც აღარ უჯერებენო. საუბედუროდ ეს ანდაზა ხშირად არ მართლდება—ზოგჯერ ცრუ კაცის სიცრუეც მართლად მიგვაჩნია. ქუთაისში გვეწვია ვიღაც ფოკუსნიკი. დაბეჭდა იმ გვარი აფიშა დაბეშდა, რომ თითქმის მკვდრის გაცოცხლებას ლამობდა. ხომ ყველამ კარგად ვიცით, რა რეკლამით იციან ამ ბატონებმა თავიანთი თავის შემკობა, მაგრამ ჩვენ მაინც მიველალენით წარმოდგენას. თეატრი სავსე იყო ხალხით. მერმე რა ვნახეთ? თქვენი მოსაწონი მატყუარა, ბალახანის მასხარა. ახია, მე-და-ჩემმა ღმერთმა ჩვენზე! ური გროშის გამეტება ფეხ-შიშველა მოსწავლისათვის გვეძნელება და მანათებს კი არ ვზოგამთ უბრალო [illegible] და უმნიშვნელო რამისათვის. ქუთაისის [illegible] მოსწავლეთა საზოგადოება, როგორც გავიგეთ, თურმე ისე ღარიბად არის, რომ წრევანდელი მისი შემწეობა მოსწავლეთათვის, სახსენებლადაც არა ღირს. აი, ბატონებო! სად უნდა მიდიოდეს, სხვათა შორის, ჩვენი მანათები, თუ-კი ჩვენ სულით და გულით გვსურს ჩვენი ქვეყნის ფეხზე წამოდგომა.

—

ფოკუსნიკს მოჰყვა მუზეუმი. აქაც დიდი ხალხი დაიარებოდა, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. სხვა თუ არა, ინკვიზიცია მაინც გადაგვეშლებოდა თვალწინ. როცა ჰხედამ სხვა-და-სხვა გვარ იარაღს კაცის ულვთო წვალებისას, არა გჯერა, რომ კაცის ბუნებას შეეძლოს ამ გვარი ბარბაროსული საქმის შეთვისება. ერთი ვიღაც მწერალი ამტკიცებდა, რომ ტორკვემადო, პირველი ინკვიზიტორი ისპანიისა, რომლის წყალობით ისპანიას მოაკლდა ურიცხვი შრომის მოყვარე ხალხი, მეტად კეთილი კაცი იყოვო და, თუ სასტიკად სტანჯამდა კაცობრიობას, ამას ღრმა რელიგიური რწმუნებით შვრებოდაო. ვერ დაგიჯერებთ! ამ გვარი რწმუნება არ შეიძლება მოთავსდეს კეთილ გულში. ინკვიზიცია იყო ბარბაროსობა და მისი შემომღებნიც—ბარბაროსები.

—

ფოკუსნიკს და მუზეუმს მოჰყვა მეორე დასი მუტრიბთა ქალთა. არფიანკებზე მოგახსენებთ. ამათ ვეღარ მივართვით; ცუდი დარი დაუდგათ.

—

ჩვენ ნიკოლაძის მემკვიდრეთა მაღაზიაში ვნახეთ წმინდა ნინოს ფოტოგრაფიული სურათი და ამინაბატი.

---

ვარება ეტყობოდა; კაცი ვერ გაარჩევდა, ეს იყო გლოვა თავიანთ დაკლებულობისა, თუ რომელიმე უსიამოვნობის მოლოდინი. ბოჩას და მასთან ერთად თემის უფროსებს თავები ჩაექინდათ და ხმა ამოუღებელნი რაღაცა ფიქრს ეძლეოდენ. მეტის-მეტი მძიმე მდგომარეობა იყო, სურათი შავად და ბნელად მოცულიყო, მაყურებლის გული ჰკვნესოდა მოლოდინით.

ერთბაშად ბოჩამ აიღო თავი და იქაურობას სევდიანი თვალი მოავლო. ონისე, რომელიც ხალხში იდგა და ბოჩას შეჰყურებდა, გაქრქოლდა, თვალი ველარ გაუსწორა მოხუცს და თავი დახარა.

ბოჩა დააკვირდა ონისეს, მაგრამ ჩქარა ისევ თვალი მოაშორა და წყნარად მაგრამ მტკიცედ წარმოსთქვა:

— მოიყვანეთ დამნაშავენი.

ხალხი შეინძრა, გაიპო ორად და თემისაგან არჩეულის მსაჯულების წინ წარსდგნენ ორი ოსი და ბუგუა.

ხალხი ცახცახით უყურებდა ამ სურათს და მოელოდა იმ წუთს, როდესაც უზენაესის უფლება უნდა მიელო და ვინ იცის რა უნდა გადაეწყვიტა.

— გაუხსენით ხელები, — ბძანა ბოჩამ და მისი ბძანება მსწრაფლად აღსრულდა.

ამის შემდეგ ბოჩამ, ხევის ბერმა, იდაყვი დაიდო მუხლზედ, ხელით თავი მიიბჯინა და მთლად სმენად გადაქცეული, ისე დარჩა.

თემის თავებიდგან ყველაზედ უფროსი წამოდგა, გავიდა შუა ადგილას, დაიჩოქა და წარმოსთქვა:

— ხალხო და ჯამაათნო!.. სმენა იყოს და გაგონება... აი, თქვენს წინა სდგას ორი ოსი... ექვსი წელია მას შემდეგ, რაც ესენი ჩვენს თემობაში მოვიდენ, შეგვებრალეს თავი და შეგვატყობინეს, რომ თავიანთ ხალხში აღარ ეცხოვრებათ, რადგანაც კაცი შემოჰკდომოდათ და სდევნიდენ... ჰაი, ჰაი, რომ ნების ნებად კაცის სიკვდილი არ ვარგა, ცოდოც არის, მაგრამ როცა კაცს გაუჭირდების, არამც თუ ცხოსა, თავსაც-კი მოიკლავს ხოლმე... კაცის შემოკდომა უბედურებაა და უბედურები ითხოვდენ ხევისაგან ლუკმა პურსა და თავშესაფარსა... ხევი ჩვეული არაა სტუმარს დაემალოს, მთხოვარაი არ განიკითხოს; ხევმა მისცა მათ ბინა, აუშენა სახლი, დაუთმო სახნავები, ხევმა იძმო და მოსვენებული ცხოვრება მისცა... ამათ რითი-ღა გადაგვიხადეს მადლობა?.. ჩვენს მტერს უჩვენეს მოსავლელი ბილიკები, ჩვენს ჯარს მოულოდნელად თავს წამოაყენეს და ვინც ამათ ლუკმა მიაწოდა, საკიდელი ჩამოაკიდებინა, ისინი ღალატით გააწყვეტინეს... რას იტყვით ხალხო და ჯამაათნო!.. ყველა შეგატყობინეთ, ყველა გაგაგებინეთ, სახუმრო არ არის კაცის სიკვდილი.

მოხევე წამოდგა, დაუკრა ყოველს მხარეს თავი და თავის ადგილას დაჯდა.

— იმართლეთ თავი, თუ შეგიძლიანთ. წარმოსთქვა ბოჩამ, რომელსაც მდგომარეობა არ შეუცვლია.

მაყურებელნი მოუსვენრად ტოკავდენ, მაგრამ საქმეში-კი არ ერეოდენ. ოსების დანაშაული მეტად აშკარა იყო, რომ კიდევ თავის მართლებას მოჰყოლოდენ და ამისათვის დაეცნენ მუხლებზედ და ტირილით ეხვეწებოდენ პატიებას, მაგრამ, მსაჯულნი მათ მუდარისადმი ყრუდა რჩებოდენ. ისინი შეჯგუფდენ ბოჩასთან, ცოტა-ხანს რაღაცა არჩიეს და ისევ თავ-თავიანთ ადგილას დასხდენ. მცირე სიჩუმის შემდეგ, ბოჩამ აიღო თავი და წარმოსთქვა:

— ურნივ ჩაქვავდეს!

ამ სიტყვებმა ხალხში ჟრიამულად გაირბინა და ოსებს ფერი სრულიად დააკარგვინა. ერთი მათგანი მიუახლოვდა ბოჩას, რომელმაც გადაწყვეტილების წარმოთქმის შემდეგ ისევ თავი ჩაჰკიდა და ღრმა საგონებელში წავიდა.

— ბოჩავ, გემუდარები! დაიძახა ოსმა. — ყმად გაგიხდები, ოღონდაც დამიხსენ.

— ჩაქვავდეს. იმავე ხმით გაიმეორა ბოჩამ.

— მაშ, უნდა მომკლან, ჩამაქვაონ?!.. დაიძახა ოსმა და ფეხზედ წამოვარდა: — დეე მომკლან, მაგრამ შენც აღარ გაცოცხლებ!

ამ სიტყვებთან ერთად, ოსის ხელში გაიელვა ხანჯალმა, რომელიც ჩოხის ქვეშ ჰქონოდა დამალული. ხალხი ერთბაშად მიაწყდა იმ ადგილს, ბურთსავით შეიკუმშა და, როდესაც გაიშალა, ბოჩა ისევ ისე მედიდურად იჯდა! ადგილიც-კი არ შეეცვალა მოხუცს. მხოლოდ ზიზღი აღძროდა თვალებში, რომელნიც იქავ ჩახოცილს ოსებს დაჰყურებდენ.

ა. მოხხუბარიძე.

(დასასრული შემდეგში)

წმინდა ნინოს ხელში უჭირამს ჯვარი და წინ დახატული აქვს სვეტი ცხოველი. მეორე სურათის გვერდზე ქართულად ლოცვა არის დაწერილი საქართველოს გამნათლებელისადმი და ვედრება. ამინაბატის ერთს გვერდზე წმინდა ნინოა ამოჭრილი, მეორე გვერდზე ღვთის-მშობელი ძითურთ. ამ გვარი სურათების გავრცელება სასარგებლოდ მიგვაჩნია—მოგვაგონებენ ჩვენს წარსულს, სავსეს ქრისტიანობრივი მოღვაწეობით და თავ-განწირულებით ქრისტეს სჯულისათვის.

ალ. აკ.

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი")

ოქტომბრის 25-ს.

პეტერბურგი. ბარონ შტიგლიცის ანდერძი წარმოადგენს სამაგალითო ნიმუშს მზრუნველობისას მიცვალებულის მახლობელს პირებზე და იმ დაწესებულებათა შესახებ, რომელნიც ბარონის მეოხებით დაარსებულან. მისს მიერ დაარსებულს პეტერბურგის ტეხნიკურს სასწავლებელს ბარონმა უანდერძა დიდ-ძალი ფული. ბარონის ქონება ას მილიონამდე ავიდა. ბარ. შტიგლიცი იყო 70 წ. ბარონს დაასაფლავებენ ნარვაში მისს ქარხნებ-შია გაშენებულს მმართლ-მადიდებელს ეკლესიაში.

გაზ. «С.-Петерб. Вѣд.»-ში სწერია, რომ მომავალის წლის იანვრის 1-დამ შემოღებულ იქმნება ახალი წესი კათოლიკეთ სამღვდელო პირების დანიშვნისა, რომელნიც ექვემდებარებიან ეპისკოპოსებს, რომ ამ წესით სახელმწიფოს თვალ-ყურის დევნა შეეძლოს მათ-და სახვედრო ჯამაგირებზე. ამ ახალის წესების ძალით ეპისკოპოზები მოვალენი არიან აცნობონ ადგილობრივ გუბერნატორებს მათგან რა ცვლილება იქმნა მოხდენილი და თან უნდა მიზეზებიც აღნიშნონ.

პეკინი. ხმა არის, რომ ჩინელები უთმობენ ფრანცუზებს ოცის წლით ფორმოზას, ოღონდ-კი მშვიდობიანობა იქმნეს ჩამოგდებელი.

ნიუ-იორკი. გუშინ მოხდა არჩევანი პრეზიდენტისა. ხმათა უმრავლესობა ნიუ-იორკში ზოგიერთ მახლობელს მაზრებსა და სამხრეთს შტატებში დემოკრატიულის კანდიდატს კლიველ ლანდისკენ არის; ცინცინატში არჩევანის დროს გამწარებული შეტაკებანი მომხდარა და რამდენიმე კაცი დაუჭრიათ და მოუკლავთ.

სტამბოლი. გუშინ რუსეთის ელჩს ნელიდოვს მიურთმევია ხონთქრისთვის სადღესასწაულო აუდიენციითსდ როს ორდენი, ანდრია პირველ-წოდებულისა.

პარიჟი. მიუღიათ ღონისძიებანი ტონკინში ხუთის-ათასისაგან შემდგარის ჯარის გადასაყვანად.

## დროების ფოსტა.

თიანეთიდამ და შილდიდამ გამოგზავნილის წერილების დამწერს. თქვენ წერილებს ვერ დავბეჭდავთ, იმიტომ რომ.... თქვენ თითონ გაიგებთ.

ხ—ბანს. გ—კელს. სამწუხაროდ რედაქცია ვერ დაბეჭდავს თქვენს წერილს, ძალიანაც რომ უნდოდეს.

# ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც იბერიის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ. საბებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლელად; ადამიანცი—9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლელად; ბენკლევსკი—10—11 საათამდე.—სასირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლელად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა: გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობას წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ხირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლელად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლელად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

საავადმყოფოს დირექტორი გ-ნი ევრმიშევი ამით აცხადებს, რომ ქ. ტფილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად ამ ოქტომბრის 5-დგან შემოღებული იქნება მცხოვრებთა შელავათისათვის ღამობით მორიგად ყოფნა ბ.ბ. ექიმთა და ბებიათა.

ექიმები:

არუთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

კორონა, სამშაბათობით და შაბათობით.

მელიქ-ფარსადანოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ბებიები:

ფილჩაკოვისა, სამშაბათობით.

ბაგინოვისა, ორშაბათობით, და პარასკევობით.

სტეფანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლოქშისა, ხუთშაბათობით და კვირაობით.

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსულის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჯვარის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 7 კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. | 6 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 7 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. — | კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. — | კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დილით. (სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ 12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ 8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის 8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)


# განცხადებანი

გამოჩენილი იფრინდა

როდოლფ გლონდენი

გამართავს ორს წარმოდგენას მუშტაიდში შაბათსა და კვირას, ოქტომბრის 27 და 28 ს. წარმოდგენა დაიწყება ნაშუადღევის 4 საათზე. 3 საათიდამ დაუკრავს მუზიკა. დაწვრილებითი ცნობანი აფიშებში.

(2—1)

ინგლისური რკინის კრაოტები.



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25$^0/_0$-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფაიფორი, დასადგმელი, პირის-საბანი, სტაქნები, სუფრის ხილის, საწყაო, სვები, რიუმკები, გრაფინები, საქაშური თებშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის სათხევები, უნაგირები კაცისა და ქალისა; აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, ჯაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიყები, ზარადები, კასტრიულები, ხაფანგები, ნიჩბები, კატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—62)

გამოვიდა და ისყიდება

ელისო

მოთხრობა ჩეჩნელთ ცხოვრებიდგან

თხზულება

ა. მ. მოჩხუბარიძისა.

ფასი 25 კაპ.

ისყიდება თბილისში: გრიქუროვის წიგნების მაღაზიაში და არწრუნისეულს სათეატრო კასაში.

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა ამავე ავტორის თხზულებანი:

ელგუჯა, ისტორიული მოთხრობა. არსენა, დრამა 3-ს მოქმედებად. ღილა ქორწილის შემდეგ, ვოდ. 1-ს მოქმედებად და „თხზულებანის" პირველის ტომის, პირველი ნაწილი. (20—7)


Доз. ценз. Тифлисъ, 26 Октября 1884 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი